

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი შეიცავს 31 დავალებას.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 35.

ტესტში წარმოდგენილი დავალებები, ფორმატის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. ყურადღებით წაიკითხეთ თითოეული დავალების ინსტრუქცია, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ დავალების შესრულებისას, და შემდეგ აირჩიეთ ან დაწერეთ პასუხი.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



თეორიული ნაწილი

დავალება 1

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ განმარტავს სწორად სურათზე მოცემული მოწყობილობის შესაძლებლობას?

- ა) მისი საშუალებით შესაძლებელია პერიფერიული მოწყობილობის გაზიარება ქსელში.
- ბ) მისი საშუალებით შესაძლებელია პერიფერიული მოწყობილობა დაუკავშირდეს კომპიუტერს.
- გ) მისი საშუალებით შესაძლებელია კომპიუტერის ერთ USB პორტს მივუერთოთ რამდენიმე პერიფერიული მოწყობილობა.
- დ) მისი საშუალებით შესაძლებელია დაბალი სიმძლავრის პერიფერიული მოწყობილობების ელექტროენერჯით კვება.



დავალება 2

ჩამოთვლილთაგან რომელია კომპიუტერის ძირითადი მიკროსქემა, რომელზეც თავსდება ან რომელსაც უერთდება კომპიუტერის ყველა კომპონენტი?

ა) დედაპლატა.

ბ) ვიდეობარათი.

გ) ქსელის ბარათი.

დ) ოპერატიული მეხსიერება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 3

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ ახასიათებს სწორად Blu-ray და DVD დისკებს?

- ა) ერთშრიან DVD დისკზე სტანდარტულად შესაძლებელია 4.7 გიგაბაიტამდე ინფორმაციის შენახვა.
- ბ) ორშრიან DVD დისკზე სტანდარტულად შესაძლებელია 8.5 გიგაბაიტამდე ინფორმაციის შენახვა.
- გ) ერთშრიან Blu-ray დისკზე სტანდარტულად შესაძლებელია 25 გიგაბაიტამდე ინფორმაციის შენახვა.
- დ) ორშრიან Blu-ray დისკზე სტანდარტულად შესაძლებელია 128 გიგაბაიტამდე ინფორმაციის შენახვა.

დავალება 4

ჩამოთვლილთაგან რომელ მეხსიერებაში არ არის შესაძლებელი მონაცემების შენახვა?

ა) მყარი დისკი.

ბ) ფლემეხსიერება.

გ) ოპტიკური დისკი.

დ) პროცესორის რეგისტრები.

დავალება 5

სურათზე ნაჩვენებია კომპიუტერის SSD მეხსიერების ბარათი, სადაც დატანილია მისი მახასიათებლები. სურათის მარცხნივ განმარტებულია ეს მახასიათებლები, თუმცა გამოტოვებულია რამდენიმე.

-----: 960 GB

-----: 32 MB

-----: SATA III (6 Gb/s)

წაკითხვის სიჩქარე: 560 მბ/წმ

-----: 540 მბ/წმ

ფორმაქტორი: 2.5"

სამუშაო ძაბვა: DC 5V

ზომა: 10.0 x 6.99 x 0.7 სმ



ჩამოთვლილთაგან რომელი მიმდევრობა შეესაბამება SSD მეხსიერების ბარათის გამოტოვებულ მახასიათებლებს?

- ა) მოცულობა – ქეშმეხსიერება – ინტერფეისი – ჩაწერის სიჩქარე.
- ბ) ქეშმეხსიერება – მოცულობა – ინტერფეისი – ჩაწერის სიჩქარე.
- გ) მოცულობა – ქეშმეხსიერება – ჩაწერის სიჩქარე – ინტერფეისი.
- დ) ქეშმეხსიერება – მოცულობა – ჩაწერის სიჩქარე – ინტერფეისი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 6

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ აღწერს სწორად ცენტრალური პროცესორის მახასიათებლებს?

- ა) ცენტრალური პროცესორის სწრაფქმედება იზომება ჰერცებში.
- ბ) ცენტრალური პროცესორი ასრულებს კომპიუტერის გამოთვლით ოპერაციებს.
- გ) ცენტრალური პროცესორის სიხშირე დამოკიდებულია ოპერატიული მეხსიერების მოცულობაზე.
- დ) ცენტრალური პროცესორი გამოთვლებისთვის საჭირო მონაცემებს დროებით ინახავს რეგისტრებში.

დავალება 7

პროცესორი ასრულებს პროგრამებს და ამუშავებს იმ მონაცემებს, რომლებიც ოპერატიულ მეხსიერებაშია ჩაწერილი. ჩამოთვლილთაგან რომელი პარამეტრი განსაზღვრავს, თუ რა დრო დასჭირდება ოპერატიულ მეხსიერებას ცენტრალურ პროცესორთან მონაცემების გასაცვლელად.

- ა) ოპერატიული მეხსიერების სიჩქარე.
- ბ) ოპერატიული მეხსიერების მოცულობა.
- გ) ოპერატიული მეხსიერების სიხშირე (RAM Frequency).
- დ) ოპერატიული მეხსიერების წვდომის დრო (Ram Access Time).

დავალება 8

ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადება აღწერს სწორად ქსელის ბარათის დანიშნულებას?

- ა) ქსელის ბარათი იცავს ლოკალურ ქსელს არასანქცირებული წვდომისგან.
- ბ) ქსელის ბარათი განსაზღვრავს მარშრუტს სხვადასხვა ქსელს შორის ინფორმაციის გადაცემისას.
- გ) ქსელის ბარათი უზრუნველყოფს კომპიუტერის ამოცნობას ქსელში MAC მისამართის საშუალებით.
- დ) ქსელის ბარათი უზრუნველყოფს კომპიუტერში შემავალი და გამომავალი პაკეტების კონტროლსა და ფილტრაციას.

დავალება 9

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ ახასიათებს სწორად უკაბელო ლოკალურ ქსელს (WLAN)?

- ა) WLAN უზრუნველყოფს IP მისამართის დამალვას.
- ბ) WLAN-ში წვდომა მარტივად ხდება მომხმარებლის ავტორიზაციის შემდეგ.
- გ) WLAN არ არის შეზღუდული როუტერზე არსებული ფიზიკური პორტების რაოდენობით.
- დ) WLAN უზრუნველყოფს უკაბელო ქსელურ კომუნიკაციას მოკლე დისტანციებზე რადიო სიგნალების გამოყენებით.

დავალება 10

ჩამოთვლილთაგან RGB ფერთა მოდელში რომელი თექვსმეტობითი კოდი შეესაბამება მწვანე ფერს?

ა) #020202

ბ) #FB0403

გ) #0704FD

დ) #04FF06

დავალება 11

ჩამოთვლილთაგან რომელი მიმდევრობა შეესაბამება ათობით რიცხვს 119 ორობით, რვაობით და თექვსმეტობით თვლის სისტემებში?

ა) 1110111 - 167 - 77

ბ) 1110011 - 184 - 87

გ) 1100111 - 77 - 5H

დ) 1010101 - 76 - 98


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 12


სურათზე ნაჩვენებია html ენაზე დაწერილი კოდი. ჩამოთვლილთაგან რომელი ვებგვერდი შეიძლება წარმოადგენდეს მოცემული HTML კოდის შესაბამის ვებგვერდს?

```
<body>  
<h1> Scratch</h1>  
<h2>HTML</h2>  
<h3>კომპიუტერი</h3>  
</body>
```


ა)




ბ)



გ)



დ)



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 13

ჩამოთვლილთაგან ფაილის რომელი დასახელება შეიცავს მხოლოდ ისეთ სიმბოლოებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ფაილის სახელის დარქმევისას?

ა) filename1#/.docx

ბ) filename1!\$.docx

გ) filename1?%.docx


დ) filename1@<.docx

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 14

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება/დებულებები აღწერს სწორად System Restore ბრძანების შესაძლებლობას?

- I. სამომხმარებლო ფაილების წაშლის შემთხვევაში System Restore ბრძანების საშუალებით შესაძლებელია ამ ფაილების დაბრუნება იმ ადგილას, საიდანაც წაიშალა.
 - II. ინტერნეტში ოპერაციული სისტემის ახალი ვერსიის აღმოჩენის შემთხვევაში System Restore ბრძანება განაახლებს ოპერაციულ სისტემას.
 - III. ოპერაციული სისტემის დაზიანების შემთხვევაში System Restore ბრძანებით სისტემა შესაძლოა აღვადგინოთ იმ მდგომარეობით, რა მდგომარეობითაც გვექონდა დამახსოვრებული.
- ა) მხოლოდ I.
ბ) მხოლოდ I და II.
გ) მხოლოდ II და III.
დ) მხოლოდ III.



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 15

ჩამოთვლილთაგან რომელ პარამეტრზე/პარამეტრებზეა დამოკიდებული პროგრამა არქივატორით ფაილის შეკუმშვისას მისი მოცულობის შემცირების სიდიდე?

- I. ფაილის ტიპზე (ტექსტური, გრაფიკული და სხვ.).
- II. პროგრამა არქივატორზე (Winrar, Winzip და სხვ.).
- III. მეხსიერების მოცულობაზე, სადაც ჩაწერილია ფაილი.

ა) მხოლოდ I.

ბ) მხოლოდ I და II.

გ) მხოლოდ III.

დ) მხოლოდ II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 16

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედების შესრულება არ არის შესაძლებელი Gmail ელექტრონული ფოსტის ფილტრის საშუალებით?

- ა) შერჩეული კრიტერიუმის მიხედვით მიღებული წერილების ავტომატურად წაშლა.
- ბ) შერჩეული კრიტერიუმის მიხედვით მიღებული წერილების ავტომატურად დაარქივება.
- გ) შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით მიღებულ წერილებზე ავტომატურად პასუხის გაცემა.
- დ) შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით მიღებულ წერილებზე ავტომატურად ჭდის (Label) მინიჭება.

დავალება 17

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ წარმოადგენს Windows ოპერაციულ სისტემაში ჩაშენებული firewall-ის დანიშნულებას?

- ა) firewall-ის დანიშნულებაა კომპიუტერის დაცვა ქსელური ვირუსებისგან.
- ბ) firewall-ის დანიშნულებაა არასასურველი ქსელური კავშირების თავიდან აცილება.
- გ) firewall-ის დანიშნულებაა სისტემის სკანირება, საფრთხის აღმოჩენა და თავიდან აცილება.
- დ) firewall-ის დანიშნულებაა ზიანის მომტანი პროგრამებისა და არასასურველი შემომავალი და გამომავალი მონაცემების დაბლოკვა.

დავალება 18

სურათზე ჩანს საქალაქე „პროფესიული განვითარება“, საიდანაც შეგვიძლია მივიღოთ მასში მოთავსებულ ფაილებზე დეტალური ინფორმაცია: სახელი, ტიპი და ზომა (Layout/Details).


ჩამოთვლილთაგან Current view ჯგუფის რომელი ინსტრუმენტის გამოყენებით არის შესაძლებელი ფაილის დეტალური ინფორმაციის ჩვენებისას გამოჩნდეს ფაილის შექმნის თარიღიც.

ა) Sort by.

ბ) Group By.

გ) Add columns.


დ) Size all columns to fit.



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 19

პროგრამა Paint-ში ფიგურა ხუთკუთხედზე Resize and Skew ფანჯრის Skew (Degrees) ბრძანების გამოყენებით შეასრულეს მოქმედება.



ჩამოთვლილთაგან შეარჩიეთ, რომელი ფიგურის მიღება არის შესაძლებელი ხუთკუთხედზე ზემოთ აღწერილი მოქმედების შესრულებისას?

ა)





ბ)



გ)



დ)



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 20

ინტერნეტში მოიძიეთ სასურველი მასალა, რომლის საავტორო უფლებებზეც დაცულია ერთობლივი ფლობის ნებართვით (Creative Commons). გადაწყვეტილი გაქვთ მოძიებული მასალა სურვილისამებრ შეცვალოთ და გამოიყენოთ სკოლის საგაკვეთილო პროცესში.

ჩამოთვლილთაგან რომელი ტიპის ლიცენზია/ლიცენზიები გაძლევთ ამ ქმედების განხორციელების უფლებას?



ა) მხოლოდ I.

ბ) მხოლოდ I და III.

გ) მხოლოდ II.

დ) მხოლოდ II და III.

დავალება 21

ჩამოთვლილთაგან რომელი ტიპის ქსელში გამოიყენება ბლუთუზ (Bluetooth) ტექნოლოგია?

- ა) პერსონალურ ქსელში (Personal area network).
- ბ) ლოკალურ ქსელში (LAN - Local area network).
- გ) გლობალურ ქსელში (WAN - Wide area network).
- დ) ვირტუალურ კერძო ქსელში (VPN - Virtual private network).


დავალება 22

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ აღწერს სწორად Windows ოპერაციული სისტემის ფუნქციას?

- ა) Windows ოპერაციული სისტემის ფუნქციაა ფაილური სისტემის მართვა.
- ბ) Windows ოპერაციული სისტემის ფუნქციაა მონაცემთა მანქანურ კოდში გადაყვანა.
- გ) Windows ოპერაციული სისტემის ფუნქციაა შეტანა/გამოტანის ოპერაციების შესრულება.
- დ) Windows ოპერაციული სისტემის ფუნქციაა მონაცემთა დაცვის, უსაფრთხოებისა და საიმედოობის უზრუნველყოფა.

დავალება 23

ჩამოთვლილთაგან შეარჩიეთ, რომელი მოქმედება განხორციელდება OneDrive ღრუბლოვანი საცავიდან ორი მონიშნული საქალაქის ჩამოტვირთვის დროს?




- ა) ორივე საქალაქდე ჩამოიტვირთება კომპიუტერში, როგორც ერთი საქალაქდე.
- ბ) ორივე საქალაქდე ჩამოიტვირთება კომპიუტერში, როგორც ორი დაარქივებული ფაილი.
- გ) ორივე საქალაქდე ჩამოიტვირთება კომპიუტერში, როგორც ერთი დაარქივებული ფაილი.
- დ) ორივე საქალაქდეში არსებული ფაილები ჩამოიტვირთება კომპიუტერში pdf ფაილების სახით.

დავალება 24

სურათზე ნაჩვენებია Link settings დიალოგური ფანჯარა, რომლიდანაც შესაძლებელია OneDrive ღრუბლოვანი საცავში IQ-Test.docx დოკუმენტის გაზიარების პარამეტრების მომართვა.

ჩამოთვლილთაგან რომელი მოქმედების/მოქმედებების შესრულება შეუძლია მომხმარებელს, რომელსაც გაუზიარეთ IQ-Test. docx დოკუმენტი სურათზე ნაჩვენები პარამეტრებით.

- I. შეუძლია გაზიარებული IQ-Test.docx დოკუმენტის რედაქტირება.
- II. შეუძლია გაზიარებული IQ-Test. docx დოკუმენტის კომპიუტერში ჩამოტვირთვა 2022 წლის 1 სექტემბრამდე.
- III. შეუძლია გაზიარებული IQ-Test. docx დოკუმენტის დათვალიერება 2022 წლის 1 სექტემბრამდე.
 - ა) მხოლოდ I.
 - ბ) მხოლოდ I და II.
 - გ) მხოლოდ II და III.
 - დ) მხოლოდ III.




1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 25

სურათზე ნაჩვენებია ვიდეოფაილის Properties ფანჯრის General ჩანართი.

ჩამოთვლილთაგან ვიდეოფაილის რომელი პარამეტრის შემოწმება არ არის შესაძლებელი ამ ჩანართიდან?

- ა) ვიდეოფაილის ზომა.
- ბ) ვიდეოფაილის ტიპი.
- გ) ვიდეოფაილის ჩანაწერის სიგრძე.
- დ) ვიდეოფაილის მდებარეობა კომპიუტერში.



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 26

სურათზე ნაჩვენებია პროგრამული უზრუნველყოფის (აპლიკაციის) ლოგო, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შეუძლია ვიდეო ფაილების შექმნა, რედაქტირება, გაზიარება, ღრუბლოვან საცავში განთავსება და სხვ.

ჩამოთვლილთაგან რომელი აპლიკაციის ლოგო არის ნაჩვენები სურათზე?

- ა) Microsoft Sway.
- ბ) Microsoft Stream.
- გ) Microsoft Forms.
- დ) Microsoft OneNote.



დავალება 27

ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ აღწერს სწორად ფლემმეხსიერების ბარათის მქონე მოწყობილობის კომპიუტერთან დაკავშირების პროცესს?

- ა) Windows ოპერაციული სისტემა, როგორც წესი, ავტომატურად ამოიცნობს ფლემმეხსიერების ბარათს.
- ბ) ფლემმეხსიერების ბარათის პიქტოგრამა ავტომატურად გაჩნდება Windows ოპერაციული სისტემის This PC ფანჯარაში.
- გ) ფლემმეხსიერების ბარათის ფანჯრის გახსნისას გამოჩნდება მასში მოთავსებული ფაილები და საქალაქდები.
- დ) ფლემმეხსიერების ბარათიდან წაშლილი ფაილები ავტომატურად მოთავსდება კომპიუტერის ოპერაციული სისტემის ნაგვის ყუთში.

დავალება 28

ჩამოთვლილთაგან რომელი კრიტერიუმით შეიძლება შევამოწმოთ ვებსაიტზე განთავსებული ინფორმაციის სანდოობა?

- ა) ვებსაიტის მთავარ გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა ცნობილი ვებსაიტის მისამართი.
- ბ) ვებსაიტის „ჩვენ შესახებ“ გვერდზე მითითებულია, რომ საიტზე განთავსებული ინფორმაცია სანდოა.
- გ) ვებსაიტზე განთავსებულ მასალებს თან ახლავს ავტორების/წყაროების რეკვიზიტები და იძლევა გადამოწმების საშუალებას.
- დ) ვებსაიტის მთავარ გვერდზე მითითებულია, რომ საიტზე განთავსებული ინფორმაცია გადამოწმებულია შესაბამისი ექსპერტების მიერ.

დავალება 29

მაქსიმალური ქულა - 2

დოკუმენტის დაბეჭდვის დროს აღმოაჩინეთ, რომ კომპიუტერთან დაკავშირებული კომბინირებული პრინტერი აღარ ფუნქციონირებს.

აღწერეთ, რა შეიძლება იყოს ამ პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზი (მინიმუმ ორი) და განიხილეთ თითოეული მიზეზისთვის პრობლემის გადაჭრის გზა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 30

მაქსიმალური ქულა - 2

განმარტეთ ცენტრალური პროცესორისა (CPU) და გრაფიკული პროცესორის (GPU) დანიშნულება. მოიყვანეთ ორი მსგავსების და ორი განსხვავების მაგალითი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31

დავალება 31

მაქსიმალური ქულა - 3

დაასახელეთ, რომელი მოწყობილობები განსაზღვრავს კომპიუტერის მუშაობის სიჩქარეს (მინიმუმ ოთხი). დასახელებული მოწყობილობებიდან შეარჩიეთ მინიმუმ ორი, ჩამოთვალეთ მათი განახლება/გამლიერებისას რა მახასიათებლებს (თითოეული მოწყობილობისთვის მინიმუმ ორი) მიაქცევდით ყურადღებას და აღწერეთ ეს მახასიათებლები.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31